ხელშეკრულება №37
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 19 მაისი 2014 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA Gori Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის ზვიად შერმადინის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „მანქანა" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმომადგენელი გელა ჩხეიძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA Gori Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze-ს ბალანსზე რიცხული მანქანა ტოიოტა-იფსუმი სახელმწიფო ნომრით DIL-001 მანქანის შეკეთება და ტექნიკური მომსახურეების (CPV50112000) გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.კერძოდ;

ა) წინა და უკანა სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა -180(ასოთხმოცი) ლარი
ბ) წინა ბამპერის შეკეთება -მორგება-80 (ოთხმოცი)ლარი.
გ) წყლის რადიატორის აღდგენა შეკეთება-180 (ასოთხმოცი)ლარი
დ) კონდენციონერის რადიატორის აღდგენა-50(ორმოცდაათი)ლარი
ე) ფრეონის ჩატვირთვა-78(სამოცდათვრამეტი)ლარი
ვ) წყლის რადიატორის მოხსნა დაყენება-40(ორმოცი)ლარი
ზ)ანტიფრიზის შეცვლა-70(სამოცდაათი)ლარი
თ) წინა ბალკის გასწორება-32(ოცდათორმეტი)ლარი

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარებში).
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 710 (შვიდასათი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება **2014 წლის 23 მაისის ჩათვლით.**
3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი, გურამიშვილის N5.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ რომელიც დადასტურებული უნდა იქნას მხარეთა ხელმოწერით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);
5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (სასაქონლო ზედნადების) საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში.
5.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

7.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

7.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

91. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისულდებიან განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 22 ივნისის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „დილა“	შ პ ს „მანქანა“
GEORGIA Gori Municipality NLP Football Club DILA under Tengiz – Burjanadze	ქ.გოპრი მოსკოვის ქ.№ 1
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5	საბანკო რეკვიზიტები სს პროკრედიტ ბანკი
საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკის შიდა ქართლის	ანგ № GE51PC0143600100033634
რეგ. ფილიალი, ბ/კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი MIBGGE22
ანგ. №GE34LB0115187811409000 ს/კ 417874973	საინდ.კოდი 417874768
დირექტორი _____ ს.შერმადინი	წარმომადგენელი _____
	გ.ჩხეიძე